1. **მოცემულ სიტყვებს დაუსვი კითხვები და გვერდით მიუწერე, თუ რომელი მეტყველების ნაწილია**

სიტყვა	კითხვა	მეტყველების ნაწილი
მოწანწკარებს		
თვალწარმტაცი		
მან		
ქუთაისელი		
სპილო		

2. **შეურჩიე ზმნებს შემდეგი არსებითი სახელები: მდინარე, ნისლი, ცა, ნაკადული, ზღვა.**

---------- მოწანწკარებს;
---------- მოქუხს,
---------- ღელავს,
---------- გაიფანტა,
---------- მოიწმინდა.

3. **იპოვე წინადადებაში სამი არსებითი სახელი და ამოწერე:**

,,მებაღე გახარებული იყო, რადგან ვარდი გაშლილიყო და ბულბული ისევ გალობდა“.

LIVEWORKSHEETS

4. **იპოვე წინადადებებში კრებითი სახელები და ამოწერე:**

,,მერცხალი გუნდს მალე დაეწია. ჯოგს ერთი ირემი გამოეყო. ხროვა გაქცეულ ნადირს დაედევნა“.

5. **მოცემული სიტყვებიდან იპოვე და ამოწერე კუმშვადი არსებითი სახელი:**
   გურჯაანი, აბასთუმანი, ბაკურიანი, ბორჯომი.

6. **მოცემული სიტყვებიდან იპოვე და ამოწერე კვეცადი არსებითი სახელი:**
   საირმე, უთო, ყურძენი, დათვი.

7. **მოცემული სიტყვებიდან იპოვე და ამოწერე კუმშვად-კვეცადი არსებითი სახელი:**
   მდინარე, მზე, ღვინო, ტომარა.

8. **მოცემული სიტყვებიდან იპოვე და ამოწერე უკვეცელი არსებითი სახელი:**

   ღვინო, უთო, ხე, ყვავილი.

9. **იპოვე არასწორად დაწერილი სიტყვა წინადადებაში და ამოწერე სწორი ფორმით:**

,,გუშინ მდინარეს ნაპირზე ფერადი კენჭები შევაგროვე“

10. **გადაიყვანე მხოლობითი რიცხვიდან მრავლობითში:**

- რობაქიძე -
- გოთუა -
- წერეთელი -
- რამიშვილი -

11. **ზმნის ფორმების მიხედვით, გამოტოვებულ ადგილებში სწორად ჩასვი არსებითი სახელი ,,ბავშვი“:**

ზოგიერთი სპორტული თამაშებით ერთობა, ზოგ კი სახლობანას თამაში მოსწონს. საერთოდ, არ უყვართ, როცა უფროსები ბრაზობენ. ჩვენს კლასში ბევრს კითხულობენ.

LIVEWORKSHEETS

12. იპოვე წინადადებებში ზმნები და გვერდით მიუწერე, რომელ დროში დგას:

- ერთხელ ერთმა თაგვმა ჩიტობა ინატრა. ----------
- მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით. ----------
- მეფე წესრიგს დაამყარებს სამეფო კარზე. ----------

13. ხაზით დააკავშირე კითხვები შესაბამის ზმნებთან და აღნიშნე, რომელ დროში დგას:

რას შვრებოდა?	მოიფიქრებს →
რა უქნია?	უმღეროდა →
რას იზამს?	გაათენა →
რა ქნა?	ღელავს →
რას შვრება	დაუხატავს →

14. **ჩამოთვლილთაგან რომელი ზმნისწინების გამოყენება შეიძლება ზმნასთან „წერს“?**

აღ, და, ჩა, შე, გადა, გადმო, ჩამო, წამო

15. დააკვირდი მოქმედების სახელებს, გადააკეთე ზმნებად და სწორად გადაანაწილე წინადადებებში:

გაბღენძა, ასვლა, ხმაური, საუბარი

- მე ძალიან მეწყინა და ისე , ყველას სიცილი აუტყდა.
- მთასვლელები ორი დღის დაგვიანებით მწვერვალზე.
- სკოლის დერეფანში მოსწავლეები ყურისწამღებად .
- ისინი გაუჩერებლად თავიანთ პროფესიაზე.

16. მიუწერე, რომელი კილოს ფორმებია:

- „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა!“
- „მეჩურჩულება სასუტელა, ზღაპრებს მიამბობს...“
- „იქნებ, ადამიანმაც დააფასოს ჩვენი სილამაზე!“

LIVEWORKSHEETS

LIVEWORKSHEETS